

შპს „სანალია“-ს

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „სანალია“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს სანალია			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
	ერთეული: I GEL		
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	33005	67837	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	116475	79008	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2290	151864	3.3
მარაგები	360024	359686	3.4
მზა პროდუქცია	0	0	
სხვა	360024	359686	
საინვესტიციო ქონება	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	114	0	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	
გუდვილი	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	3841	3799	
ძირითადი საშუალებები	2718181	2900302	3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	
სულ აქტივები	3233930	3562496	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	6301	674	
ანარიცხები	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	204	361	
საგადასახადო ვალდებულებები	16278	11838	
გამომუშავებული შემოსავალი	0	154918	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	918731	1644692	3.6
მიღებული გრანტები	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	0	
სულ ვალდებულებები	941514	1812483	
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'ს	3395108	3395108	3.7
საემისიო შემოსავალი	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-1102692	-1645095	
გადაფასების რეზერვი	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	2292416	1750013	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3233930	3562496	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2024 წ.			
დირექტორი _____	სულიკო მახარაძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს „სანალია“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს სანალია				
საქმიანობის შედეგები				
		ერთეული: I GEL		
საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022	შენიშვნა	
ნეტო ამონაგები	1187233	1157699	3.8	
საქონლის გაყიდვიდან	1187233	1157699		
მომსახურების გაწევიდან	0	0		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0		
სხვა	0	0		
გაყიდვების თვითღირებულება	0	0		
საწყისი მარაგები	0	0		
მარაგების შესყიდვა	0	0		
გადამუშავების დანახარჯები	0	0		
საბოლოო მარაგები	0	0		
საერთო მოგება	1187233	1157699		
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	125		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-225014	-214968		
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	-415201	-349845		
საპროცენტო შემოსავალი	0	0		
საპროცენტო ხარჯი	0	0		
იჯარის ხარჯი	0	0		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-158350	-144297	3.9	
სულ საოპერაციო ხარჯები	-798558	-708985		
საოპერაციო მოგება	388675	448714		
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:				
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0		
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების	-1454	-300		
მიღებული დივიდენდები	0	0		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	154893	1	3.10	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	542114	448415		
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	542114	448415		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):				
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რ	0	0		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	542114	448415		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1750013	1301598		
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში	0	0		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	289	0		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2292416	1750013		
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2024 წ.				
დირექტორი _____	სულიკო მახარაძე			
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს „სანალია“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს სანალია					
ფულადი სახსრების მოძრაობა					
ფულადი სახსრების მოძრაობა			31/12/2023	31/12/2022	
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმ			758028	821606	
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული			-110045	-90571	
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდ			-682460	-727319	
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)			-34477	3716	
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე			-355	-304	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში			67837	64425	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს			33005	67837	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2024 წ.					
დირექტორი _____			სულიკო მახარაძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.					

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „სანალია“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2000 წლის 7 მარტს შუახევის რაიონის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი 06/4-22. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 247860998, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი, N23, ხოლო ფაქტობრივი მისამართია - საქართველო, შუახევის რაიონში, სოფ.მახალაკიძეები. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. 2021 წლის 31 დეკემბერს, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო შპს „ჩირუხ-სანალიას ჰესი“ (ს/ნ 404886423), რომლის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ფ/პ დევიდ შიტრიტი (3-4117804-4, 29447424 - ისრაელი). 2022 წლის 21 იანვარს, საქართველოს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა შპს „ჩირუხ-სანალიას ჰესის“ (ს/ნ 404886423) და შპს „სანალიამ“ (ს/ნ 247860998) შერწყმა. აღნიშნული რეორგანიზაციის (შერწყმის) შედეგად შპს „სანალიამ“ (ს/ნ 247860998) შემოირჩა შპს „ჩირუხ-სანალიას ჰესი“ (ს/ნ 404886423).

შედეგად, საანგარიშგებო წელს, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ დევიდ შიტრიტი (3-4117804-4, 29447424 - ისრაელი).

1.3. კომპანიის დირექტორია ფ/პ სულიკო მახარაძე (პ/ნ 61010000278).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება ჰიდროელექტროსადგურის მიერ და მისი რეალიზაცია.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სესხის გაცემა, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს ერთ ლოკაციაზე - საქართველო, შუახევის რაიონში, სოფ.მახალაკიძეები (სადაც მდებარეობს ჰიდროელექტროსადგური).

1.5. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2023 წელს შეადგენდა 14 ადამიანს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია

წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით..

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი;

1 EUR=2.9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2023 წელს: 1 USD=2.6287 ლარი; 1 EUR=2.8436 ლარი;

2022 წელს: 1 USD=2.9156 ლარი; 1 EUR=3.0792 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

კომპანიის ფულადი სახსრები მთლიანად შედგება კომპანიის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში არსებული თანხისაგან.

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები მთლიანად შედგება საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის პარტნიორის - „ჯორჯიან მანგანუმის“ მიმართ დეკემბრის თვეში განხორციელებული მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნისაგან.

3.3. სხვა პირებზე გაცემული ავანსები და სესხები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	2290	108029
წინასწარ ანაზღაურებული დაზღვევა	0	335
გაცემული გრძელვადიანი პროცენტის სესხები	0	43500
სულ:	2290	151864

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნედლეული და მასალები	0	0
საწვავ-საცხები მასალები	549	211
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული ჯარტი	359475	359475
სულ:	360024	359686

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	2023 წელი ზრდა ან შემცირება	2023 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	10940	0	0	10940
ძირითად საშუალებებზე დასამატებელი მომსახურება	0	0	0	0
შენობები	401612	0	20407	422019
ნაგებობები	526579	14067	28898	541410
მანქანა-დანადგარები	111262	0	32282	143544
თბოტექნიკური და ტურბინული მოწყობილობები	1512339	216723	294299	1589915
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	105501	0	18282	123783
ელექტროგადამცემის საშუალებები	11374	0	10378	21752
მილსადენები	19568	0	5010	24578
მაღოვანი მანქანები და მოწყობილობები	0	0	0	0
ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავეჯის გარდა	10052	0	1748	11800
კომპიუტერული ტექნიკა	71	0	99	170
ინვენტარი	5222	0	813	6035
მსუბუქი ავტომობილები	0	0	0	0
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	3661	1864	2559	4356
სულ:	2718181	232654	414775	2900302

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

შპს „სანალია“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანია დაფუძნებულია 2000 წელს. მისი ზოგიერთი ძირითადი საშუალება უკვე ბევრი წელია მის მფლობელობაშია. ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2023 წლის ბოლოს - 4090829 ლარს,

2022 წლის ბოლოს - 3676054 ლარს.

3.6. გრძელვადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ანგარიშსწორებანი ლარებში	918731	1644692
სულ:	918731	1644692

კომპანიის სესხი ფაქტიურად შედგება მისი დამფუძნებელი პირისაგან მიღებული უსასყიდლო (უპროცენტო) სესხისაგან ეროვნულ ვალუტაში.

3.7. საკუთარი კაპიტალი:

კომპანია დაფუძნებულია 2000 წელს. შესაბამისად მისი დაგროვილი ზარალი ფორმირებულია მისი დაფუძნების პერიოდიდან.

3.8. ნეტო ამონაგები:

კომპანიის ამონაგები მთლიანად შედგება წარმოებული ელექტროენერგიის მიწოდებიდან.

3.9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2023 წელი	2022 წელი
ძირითადი მასალების დანახარჯები / შეძენა		
დამხმარე მასალების დანახარჯები / შეძენა		
საწარმოო დანიშნულების რემონტის ხარჯები	8	
სხვა საერთო-საწარმოო ხარჯები	1701	1651
მარკეტინგული ხარჯები		45
ელექტროენერგიის მიწოდებისას	41358	38589
მიწოდების სხვა ხარჯები	5263	4058
ელექტროენერგიის ხარჯები	308	357
გაზი და წყალი	87	38
დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები	135	
მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის ხარჯები	88	
საკანცელარიო ხარჯები	492	354
კომპიუტერის ხარჯები	121	212
კომუნიკაციის ხარჯები	707	998
დაზღვევის ხარჯები, გარდა პერსონალის	16674	15171
საწვავის ხარჯები (საერთო-	9166	10225
გაზის ხარჯი (საერთო-ადმინისტრაციული)		
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები		2819
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	22881	22881
საფოსტო-საკურიერო მომსახურების ხარჯი		31
საგადასახადო ხარჯები	35469	35144
საბანკო ხარჯები	783	1089
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	4427	845
ავტომანქანების რემონტის ხარჯები	199	261
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	2001	553
ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო	334	3568
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები	2151	1765
სასტუმროს მომსახურება		
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც	13995	3643
სულ:	158350	144297

3.10. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

დაზიანდა კომპანიის კუთვნილი ძირითადი საშუალების - ტურბინის ნაწილი. აღნიშნული ნაწილი კომპანიას ჰქონდა დაზღვეული, რიში შესაბამისი ანაზღაურებაც და ამ ანაზღაურებული თანხის საფუძველზე ტურბინის ნაწილიც მიიღო კომპანიამ საანგარიშო პერიოდში.

3.11. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2024 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 1 ოქტომბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	33005	67837	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	116475	79008	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2290	151864	3.3
მარაგები	360024	359686	3.4
მზა პროდუქცია	0	0	
სხვა	360024	359686	
საინვესტიციო ქონება	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	114	0	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	
გუდვილი	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	3841	3799	
ძირითადი საშუალებები	2718181	2900302	3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	
სულ აქტივები	3233930	3562496	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	6301	674	
ანარიცხები	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	204	361	
საგადასახადო ვალდებულებები	16278	11838	
გამომუშავებული შემოსავალი	0	154918	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	918731	1644692	3.6
მიღებული გრანტები	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	0	
სულ ვალდებულებები	941514	1812483	
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3395108	3395108	3.7
საემისიო შემოსავალი	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-1102692	-1645095	
გადაფასების რეზერვი	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	2292416	1750013	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3233930	3562496	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2024 წ.

დირექტორი _____

სულიკო მახარაძე

თანმზღვრები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი ნაწილი.



საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	1187233	1157699	3.8
საქონლის გაყიდვიდან	1187233	1157699	
მომსახურების გაწევიდან	0	0	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0	
სხვა	0	0	
გაყიდვების თვითღირებულება	0	0	
საწყისი მარაგები	0	0	
მარაგების შესყიდვა	0	0	
გადამუშავების დანახარჯები	0	0	
საბოლოო მარაგები	0	0	
საერთო მოგება	1187233	1157699	3.9
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	125	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-225014	-214968	
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-415201	-349845	
საპროცენტო შემოსავალი	0	0	
საპროცენტო ხარჯი	0	0	
იჯარის ხარჯი	0	0	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-158350	-144297	
სულ საოპერაციო ხარჯები	-798558	-708985	
საოპერაციო მოგება	388675	448714	
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	3.10
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებ	-1454	-300	
მიღებული დივიდენდები	0	0	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	154893	1	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	542114	448415	
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	542114	448415	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და	0	0	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	542114	448415	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1750013	1301598	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო	0	0	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	289	0	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2292416	1750013	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2024 წ.

დირექტორი _____

სულიკო მახარაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულ.	758028	821606
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფ.	-110045	-90571
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულად	-682460	-727319
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-34477	3716
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-355	-304
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	67837	64425
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	33005	67837

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2024 წ.

დირექტორი _____



სულიკო მახარაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.